3 (15) ივნისი, 1866.

№ 14.

პირველი წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

	Გაგზავნით Ტფილისში	Გაუგზავნელათ:
	და გარეშე ადგილებში:	
ერთის წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
10-ის თვისა	— 6 —	— — — 5 —
ნახევრის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2 —

Ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„ДРОЕБА“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ДРОЕБА

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში „ДРОЕБИС“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ბალავინის პროსპექტზედ, ქ. ზუბალოვის სახლში. —

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „ДРОЕБАЗЕДЕ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება **პირველისავე ნუმრიდამ.**

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „ДРОЕБИС“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

ამ ნუმერში არის: მმართებლობის განკარგულება: — უმაღლესი რესკრიპტი. — ბძანება ქავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში: — პოლიტიკა. Italia. — Прусия. — Дунаის სამთავროები. — Egypte. — ტელეგრამმები. — სალიტერატურო ნაწილი: Ისტორიული მოძრაობა განათლებისა. — ფელეტონი: Oriondé სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდამ. — სახაზინო განცხადება.

მმართებლობის განკარგულება.

უმაღლესი რესკრიპტი,

მინისტრთ კამიტეტის პრედსედატელისა, დეისტვიტელნის ტაინის სოვეტნიკის კნაზის ბაგარინის სახელზედ მიცემული

ძნიზო პავლე პავლეს ძე! ერთგული ქვეშეერდომობა და ჩემზედ გულის დანდობა, რომელნიცა ერთსულობით გამომიცხადა ღვთის განგებით ჩემს მმართველობაზედ მონდობილმა ხალხმა, მიმტკიცებენ იმ გრძნობას, რომელშიაც ეპოულობ მე საუკეთესო ჯილდოს ჩემის შრომისთვის რუსეთის სასიკეთოთ. რაოდენათაც საუგეშოა ჩემთვის ამისი ცნობა, იმოდენათ უფრო ვალდებულათ ვრაცხ ჩემს თავს დავიცვა რუსის ხალხი იმ მავნებელის ცრუ-სწავლათგან, რომელთაც თავის დროზედ შეეძლებოდათ შე ტყიათ საზოგადო კეთილ-დაწყობილება, თუ რომ იმათ გავრცელებას საზღვარი არ დასდებოდა.

შემთხვევა, რომელმაც აღძრა ყველა მხარე რუსეთისა ჩემთვის გამოსაცხადებლათ ერთგულ-ქვეშევრდომითთა გრძნობათა, ამასთანავე შეიქნა მიზეზი, რომ ცხადად აღმოჩენილ იყო ის საშუალება, რომლითაც ერცელდებოდნენ საზოგადოებაში ეს დამამხობელნი ცრუ-სწავლანი. ჩემის ბძანებით დაწესებულის გამომძიებელის კამისიისგან აღმოჩენილნი ნიშანნი კიდეც უჩვენებენ ბოროტების ფესვსა. ამ სახით საღმრთო ბანგებამ კეთილ ინება, რომ მთელს რუსეთს თავის თვალის წინ დაენახა, თუ რა რიგს ბოლოს უნდა მოლოდებოდა ის იმ წადილისა და აზროვნობისაგან, რომ ლნიც გაბედვით, გბობით შეეხებიან ყოველ-ფერს, რაიცა ძველიდგან რუსეთისთვის პატივსაცემი არის, რელიგიურს რწმუნებას, სახლობის ცხოვრების საფუძველს, საკუთრების სიმართლეს, სჯულის წინაშე მორჩილებას და დადგენილის მთავრობის პატივის ცემას.

ჩემი ყურადღება კიდეც მიიქცა ყმაწვილების აღზრდაზედ. მე მივ ცი ის აზრი, რომ ის აღიზარდოს სარწმუნოების ჭეშმარიტების ცნობაში, საკუთრების სიმართლის პატივის ცემაში და რათა დაიმარხოს იმან ძირითადი საზოგადო წესიერების შეუცვლელობა და რომ არა სასწავლებელში არ დაუწყონ ყმაწვილობას ქადაგება არც ცხადათ და არც იდუმალ იმ დამმარღვეველის აზრისა, რომელიც ერთბაშათ ეწინააღმდეგება ზნეობითს და ნივთიერებითს კეთილ-მდგომარეობას ხალხისას. მაგრამ სწავლება, რომელიც შეესაბამება ნამდვილს მოთხოვნილებას ახალგაზდობისას, ვერ მოიტანს სრულს სარგებლობას, რამდენიც იმისგან მოსალოდნელია, თუ რომ საკუთარს სახლობაში (ოჯახში) ახალ-გაზდობა მოისმენს სწავლას, რომელიც არ ეთანახმება ქრისტიანობრივის კეთილ-მსახურების კანონებს და ერთგულ-ქვეშევრდომობითს ვალდებულებას. ამისთვის მე მტკიცედ დ იმედოვნებული ვარ, რომ ამ დიდს საგანზედ ჩემს განზრახვას მიეცემა გულს მოდგინებითი შემწეობა შინაურს აღზრდაში.

აგრეთვე დიდათ საჭიროა სახელმწიფოს ნამდვილის სარგებლობისთვის საზოგადოთ და კერძოობით თვითოეულს ჩემს ქვეშევრდომთა-განისთვის, სრული ხელ-შეუხებლობა ყოველს გვარს საკუთრებაზედ, რომელიც განიმარტა საზოგადო კანონებითა და წესდებულებითა 1861 წლის 19 თებერვლისა. ბარდა იმისა, რომ ეს სიმართლე არის კანონიერი და ძირითადი საფუძველი ყოვლის კეთილ-დაწყობილის სამოქალაქო საზოგადოებისა, ის არის კიდევ შეკავშირებული გავრცელებაზედ კერძოობითის და საზოგადო სიმდიდრისა, რომელნიც ერთი ერთმანერთთან მჭიდროთ არიან შეერთებულნი. მხოლოდ საზოგადო წესის მტერთა შეუძლიანთ აღძრან ამაზედ ეჭვნეულობა.

ამ განკარგულებათა დამკვიდრებას და დაცვას უნდა ცდილობდნენ ყველა პირნი, რომელნიც უფლებით მოსილნი არიან და იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში. სახელმწიფოს რიგიანს წყობილებაში პირველი მოვალეობა ყველასი, ვინც კი ჩემსა და მამულის სამსახურშია მოწოდებული, მდგომარეობს იმაში, რომ ბეჯითად და თავ-გამოდებით აღასრულოს თავისნი ვალდებულებანი და არაოდეს მმართებლობის აზრს არ უმტყუნოს. როგორათაც უფლების გადამეტება, აგრეთვე იმის მოუხმარებლობა ერთგვარათ მავნებელნი არიან. მხოლოდ ერთის განუხრელის აღსრულებით ამა ვალდებულებათა შეიძლება დამტკიცდეს ის ერთობა მმართებლობის მოქმედებაში, რომელიც მიუცილებლად საჭიროა იმის აზრის და განზრახვის აღსრულებაში მოსაყვანად. მე შევიტყე, რომ ზოგიერთს პირებს, რომელნიც იყვნენ სახელმწიფო სამსახურში, მიუღიათ მონაწილეობა, რომ გაევრცელებინათ საზოგადოებაში უკეთმართი ხმები ანუ მსჯელობა მმართებლობის მოქმედებაზედ და წადილზედ, აგრეთვე ყოფილან თანაზიარნი გავრცელებისა საზოგადო დაწყობილების წინააღმდეგის სწავლისა, რომელზედაც ნება არ უნდა მიეცეს, რომ განავრცელონ. თვით წოდება სახელმწიფო მოსამსახურეთა ამ შემთხვევაში აძლევს ძალას იმათს სიტყვას და ეხმარება, რომ გადაასხვაფერონ მმართებლობის აზრი. ამ გვარი უწესობა არ არის მოსათმენი. ყველანი მთავრობაში მოთავენი პირნი უნდა ყურად-ღებას მიაქცევდნენ ხოლმე თავის ხელ — ქვეითების მოქმედებას და მოითხოვდნენ ხოლმე იმათგან, რომ სწორად, მტკიცედ და განუხრელ დ აღასრულონ თავისნი მოვალეობანი, რომლის უქმნელობითაც არ შეიძლება განწყობილი მსვლელობა მმართველობისა და რომელშიაც თვით ისინი უნდა ყველას აძლევდნენ მაგალითს მთავრობის მორჩილებაში.

დასასრულ, ყველა უფროსებმა სხვა და სხვა მთავრობის ნაწილთა უნდა იქონიონ სახეში შემწეობა იმათ სხვათა გონიერთა

ორიოდე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდამ.

(ბუძღვნი მ....ო შ....სას).

შენ სიცოცხლესა დაალამებ ესრეთ შრომაში;
ქაცი კაცურად ვერ იცოცხლებ ვერც ერთსა დღესა..

ლექსიდამ „მუშა“.

I.

შტაბის საათმა დაჰკრა თორმეტი და ამ დროს რაღამაც იგრიალა ხანგრძლივად თამამშოვის ქარვასლაში. ჯერ ეს ხმა არ შეწყვეტილიყო, ის ისევ გუგუნებდა დაცარიელებულს ქარვასლის დერეფნებში, როდესაც ქვეიდგან ვიღამაც იმავე ხმით შემოუბანა, ამაყად ხმა მისცა. — ბათავდა ეს კაცის ამოოხვრაცა, რომელშიაც იყო რაღაც საზარელი საიდუმლოება: ყვედრება ბედ-იღბალზედ, უკმაყოფილება და ჩივილი ცხოვრებაზედ, სამდურავი ხალხზედ, ვის კეთილ-დღეობასაც ისინი ასე მხნედ და მღვიძრად დასტრიალებდნენ და უყარაულებდნენ. — ამ დროამდე არ იყო ძალიან ცუდი ღამე, რაც კი იანვარს შეეფერება; მაგრამ შუაღამიდგან ახლა ბუნებამ დაიწყო ოხვრა და გრგვინვა, თითქოს ისიც თავის მხრით კაცს ემუქრებოდა და სასტიკად დასჯას უქადიდა იმის ამპარტავნულს ქედმიუდრეკელობაზედ და ბუნებისთვის სამდურავის თქმაზედ. — ასტყდა საშინელი და საზარელი ქარიშხალი; ააქვს თოვლის ნამქერი ცამდის; კარებების და ფანჯრების ჯუჯრუტანაებში გულის საკლავად გამოსწიწინებს და ბველსავით სისინებს ცივი ქარი; კაცს გულს უხშაღს, სულს უგუბებს. ყველას კარგად ესმის ბუნების რისხვა; უფრო და უფრო შეწუხებულის და მოუსვენარის სახით ეკვრის კაკი თავისს ერთ-გულს ტყაპუჭს, ქუდს იფარავს ყურებზედ, ცდილობს ფეხები ახლო ამოსწიოს ტანთან, ორთქლი შეიგუბოს, უნდა პატარა დათბეს, რომ კანკალ — ცახცახმა კადაუაროს, მაგრამ სად არის?!... ბუნება თითქოს კაცის ჯიბრზედ უფრო და უფრო უმატებს სასტიკს რისხვას.... ქაცი ხან ფეხზედ დგება, ხან წვება, ხან დადის, ებრძვის სიცოცხლეს რაც შეუძლიან, მოელის ბუნებისგან შებრალებას..... ბადაუწყდა ილაჯი, დაჰკარგა სასოება, იმედი აღარა აქვს შველისა, დაწვა დასაძინებლად; ძილმაც ეს უბედური იბრიყვა; ისიც ამ უბედურს ელტვის, არ ეკარება!... მაგრამ ბურანში შევიდა, თავს ატყუებს, ვითომ სძინავს, თან კი კურდღელსავით თვალები უჭყეტია, — ელის საათის ცემას, რომ ერთი კიდევ ამოიოხროს, ხმა მისცეს ამხანაგს, ახაროს, რომ ეს ერთი საათიც როკორც იყო ძალისძალად გამოჰგლიჯეს სიცოცხლესა, ბუნების ჯაბანნი არ გახდნენ....

— ვინ არიან ეს სიცოცხლის მოწამენი, განგმირულნი, სიღარიბისა და უმეცრებისაგან განადგურებულნი, მიწასთან გასწორებულნი, მოძმესაგან მოძულებულნი, რომელნიც ამგვარად სისხლის-პურსა სჭამენ? — ვინ არიან ესენი, მიპასუხე, ამ დროს ყუითუკის ბალიშზედ და დოშაქზედ მწოლარევ, ბედნიერო ქართველო?!

— ისინი არიან საწყალი „ასასები“, დუქნების მცველნი, ყარაულები, რაც გინდათ დაარქვით, — მაგრამ ქარვასლებში გაბრტყელებული ასასების ცხოვრება — ბატონია იმათ ცხოვრებასთან, ვისაც ბედ-იღბალმა არგუნა თავ-გადახლილს დერეფნებში ღამის თევა, ანარა და სულ უდერეფნოთ, — ცის-ქვეშ წოლა, ნუ დაივიწყებთ, — იანვარში. —

აბა, ამ შუაღამის დროს ინებეთ ყურადღების მიქცევა თამამშოვის ქარვასლის გარეთ სხვა მხარეზედ უდერეფნო დუქნის წინ. — ესეც იმ ხელობის კაცია (ასასია). ბთხოვეთ გქონდეთ მხედველობაში და იცნობდეთ ამიერიდგან ბლახა ბედკრულაძეს.....ერთის შეხედითვე შეატყობდა კაცი, რომ ის უნდა ყოფილ-იყო, თავის დროზედ, მოსხეპილი, სიცოცხლით სავსე, ბუნების შეუპოვარი; მაგრამ, როგორც ყველას ქვეყნიურს, იმის ვაჟკაცობასაც ბოლო მოღებია. ბადაუტეხია ცხოვრების ქარიშხალს, წელში ძალიან გაღუნულია, თმაში ძალიან ხშირი ჭაღარა შერევია, არც ტანი აქვს თავის-უფალი სხვა და სხვა ქარებისაგან. სიცოცხლეს მაინც და მაინც თავისი ხარჯი აუღია ამ კაცზედ და არც ხალხს, — თანა-მოძმეებს, დაუყრიათ კეთილი, ხელი არავის გაუწვდია იმ საწყლისთვის. ამ გვარად მოკლებულია ყველა ნუგეშს ამ მოხუცების დროს. ვერაფერი შეუძენია, რომ სიბერის დღეები მაინც თავის ჭერ-ქვეშ, თავის ოჯახშვილში გაატაროს და ღამე არ უთიოს, როგორც ხატის კარს, ერთის ვიღაც უდიარის მოქალაქის დუქანს (მაგაზინს). ღვთის წინაშე, ამ მოტეხილის კაცის შეხედვა სახეზედ მადლი იყო. სიცოცხლის ვერიცანაობას და ვერაგობას სულ ამჟღავნებდა: ხშირათ ჭაღარა შერთული გრძელი თმა და წვერ-ულვაში, მაღალი წამოსადეგი კარგა მოხრილი ტანი, სქელი მხარ-ბეჭი. პირისა და კისრის კანზედ ეტყობოდა, რომ სიცოცხლეს ღრმა კვალი გაევლო. მოღმეჭილი და ნაკეც-ნაკეცი ტყავი ეწყო ჩვენს ბედკრულაძეზედ. სულ ზედ ჩაეცო, რაც კი რამ ჰქონდა სათბუნებელი, მაგრამ რა გაათბობს დროებისაგან და ცხოვრებისაგან გატეხილს კაცს, იმას ძვლებში აქვს გამჯდარი სიცივე, სისხლი და ხორცი თბილია და არა ცხელი. ახალუხი, ჩოხა, ტყავი, ნაბადი სულ ზედ წამოუსხამს; მაგრამ ბუნება თითქმის ცხადათ ეუბნება, წავიდა, გაქრა, გაირბინა შენმა შეუპოვრობის წლოვანებამ; ახლა ჩემი დრო და ვალია გარდაგიხადო, ამიტომ უფრო, რომ შენი ხელის მომწოდებელი კაცი არ არის ქვეყანაზედ, ყველამ დაგაგდო ჩემს ამარასაო. ჯერ კარგა ხანს ქვის ფილაქანზედ იწვა და რომ ველარ გასძლო, დაუბუჟდა და გაეყინა გვერდები, ფეხებიც ეძვრებოდა, წამოდგა და დაიწყო წინ და უკან მხნედ სიარული ამ ღვთის რისხვა ღამეში, თი-

მცველთა და კეთილსაიმედოთა ძალათა, რომლებითაც მარადის მდიდარი იყო რუსეთი და რომელნიც ღვთის მადლით, ახლაც უხვათ არის, რომ მიეცეს სრული წარმატება მოხმარებულთა ზომათა წინააღმდეგ იმა დამღუპველთა სწავლათა, რომელნიც გავრცელდნენ საზოგადოების წრეში და ცდილობენ შეარყიონ ძირითადი საფუძველი სარწმუნოებისა, ზნეობისა და საზოგადო წეს-დებულებისა.

ეს ძალანი იმყოფებიან ყოველს წოდებაში, რომელთაც ძვირად ულირთ საკუთრების სიმართლე, უზრუნველ-ყოფობის და სჯულის მიერ დაცულის მიწის მფლობელობის სიმართლე, სჯულზედ დამყარებული და სჯულით განმარტებული საზოგადო სიმართლე, საზოგადო წეს-დებულების საფუძველი, ხელმწიფოს ერთობის და მტკიცე კეთილ-დაწყობილ-ების საფუძველი, ზნეობისა და სარწმუნოებისა პატიოსანი ჭეშმარიტების საფუძველი. ხელმწიფო მმართველობის ნაწილებში მოსამსახურე პირების დანიშვნის დროს უფროსებმა უნდა ისარგებლონ იმ ძალებითა და იქონიონ მხედველობაში იმათი უაღრესნი თვისებანი. ამ რიგათ უზრუნველი შეიქმნება ბოროტ-მზრახველის სიტყვისაგან ხალხის ყოველის წოდების ჯეროვანი გულდანდობილება მმართველს მთავრობაზედ. ამ განზრახვისთვის, თანახმად ჩემის სურვილისა და ჩემგან ბევრ-გზის გამოცხადებულის ნებისა, ყოველს მმართველობის ნაწილში უნდა იმეცადინონ, რომ დაცულ იქმნას საკუთრების სიმართლე და მიიქცეს თვალ-ყური მეოხებაზედ, რომელიც შეეხება საჭიროებას და სარგებლობას სხვა და სხვა ადგილისას და სხვა და სხვა ნაწილების მცხოვრებლებს. უნდა მოისპონ წადილნი, რომელნიც დროსა და დროს განმავლობაში ცდილობდნენ აღეძრათ მტრობა სხვა და სხვა წოდებათა შორის და რომელნიც განსაკუთრებით მეცადინეობენ აღძრან სიძულილი თავად-აზნაურობაზედ და მიწის მეპატრონეებზედ, რომლებშიაც მტერნი საზოგადო დაწყობილებისანი ხედვენ თავის პირდაპირს მოწინააღმდეგეებს. მაგარი და განუდრეკელი დაცვა ამ საერთო საფუძვლებისა დასდებს საზღვარს იმ ბოროტ-გამზრახველის მეცადინეობის წინ, რომელიც ახლა კარგა ნათლად აღმოჩნდა და უნდა მიეცეს სასჯელსა. მოგანდობთ თქვენ ამ ჩემს რესკრიპტს, რათა გარდასცეთ იგი ყველა მინისტრებს და უმთავრესს პირებს, რომელნიცა განაგებენ მმართველობის სხვა და სხვა ნაწილთა, რომ იმათ ხელსამძღვანელად იქონიონ ეს რესკრიპტი.

დავშთები თქვენდამი მარადის კეთილ-მიდრეკილ ი. ნამდვილზედ საკუთარის მისის იმპერატორებითის დიდებულების ხელით მოწერილია:

ალექსანდრე.

Царскій-Селоში,
13 მაისს, 1866 წ.

ბძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში.

1866 წელს 13 მაისს, ტფილისში. სამსახურიდან გადაყენებული ხელ-ახლა მიიღება: ტიტულიარნი სოვეტნიკი თავადი ალმასხან ნიჯარაძე განსაკუთრებითი მინდობილების უმცროს ჩინოვნიკად ქუთაისის ღენერალ-გუბერნატორთან უფროსად. დანიშნები ნ: კავკასიის ნამესტნიკს შმთავრესს სამმართველოში რომ იმყოფება დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი იურჩენკო—პრედსედატლათ კამმისიისა რომელმაც ცნობაში უნდა მოიყვანოს სთავადო და საზნაურო გვარები საშეგრელოში, სვანეთში და სამურზაყანოში (6 აპრილიდამ); მიროვის პოსრედნიკი ქუთაისის უეზდის მეხუთე განყოფისა, ტიტულიარნი სოვეტნიკი თავადი ერისთავი განსაკუთრებითის მინდობილების უფროს ჩინოვნიკათ ქუთაისის ღენერალ-გუბერნატორთან უფროსად და ამასთანავე ის ისევ მიროვის პოსრედნიკათ რჩება. პაკლაუზის ზედამხედველი ფოთის საკარანტინო-დამოჯნის კანტორისა კოლლეჟსკის სეკრეტარი მალცევი—შეკვეთილის (Николаевской) საკარანტინო-დამოჯნის ზასტავის მმართველად. წევრებად ზუგდიდის დროებითის კამმისიისა, რომელიც ძოიყვანს ცნობაში საშეგრელოს, სვანეთის და სამურზაყანოს თავად-აზნაურის გვართ, სამურზაყანოს თავადაზნაურების აღმორჩევით იქნებიან, თავადებიდგან: შტაბს-კაპიტანი ბატა შარვაშიძე და პორუჩიკი მურზაყან ანჩაბაძე.—აზნაურებიდგან: პრაპორშჩიკი ბესლან აქირთავა და უჩანა მარღანია (6 აპრილიდამ).

კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში ბძანებით ზემოხსენებულის დროებითის კამმისიის წევრებად დანიშნულნი თავადების და აზნაურების აღმორჩევით: ზუგდიდის მაზრაში ბასა ზურაბის ძე ფულარია და სენაკის მაზრაში თეიმურაზ ხახუს ძე თოფურია გამოირიცხებიან კამმისიის წევრების რიცხვიდგან და იმათ მაგიერათ დაინიშნებიან აზნაურები ზუგდიდის მაზრაში ლევან ბოშუა და სენაკის მაზრაში—დავით ჩიქოვანი. ბადიყვანება ასტრახანის გუბერნიის სააკზიცო სამმართველოში რომ შტატს შიგნით იმყოფებოდა ნადვორნი სოვეტნიკი ბილლერი—უპოლნომოჩენის ადგილზედ ხაზინის მხრით კავკასიის აქციზის უმთავრესს გამოჯვნაში (3-ს აპრილიდამ). დაითხოვები ნ სამსახურიდამ თანახმად თხოვნისა: ქუთაისის გიმნაზიის ინსპექტორი კოლლეჟსკი სოვეტნიკი ბანგესოვი და დაინიშნება ქუთაისის ღენერალ-გუბერნატორის ჩინოვნიკად შტატს გარეთ. მთავრობის განკარგულებით დაითხოვებიან სამსახურიდამ კოლლეჟსკი ასესორი შეკვეთილის საკარანტინო-დამოჯნის მმართველი რუხლიადკო, ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორთან განსაკუთრებითის მინდობილების უმცროსი ჩინოვნიკის თანამდებობის აღმასრულებელი უფროსად კოლლეჟსკი რეგისტრატორი თავადი თუმანიშვილი. დროებით დაითხოვებიან: მერვე მეჟევის კამისიის სამჯავრო წევრი ზუბალაშვილი აბასთუმნის წყლებზედ, ქუთაისიის ღენერალ-გუბერნატორის კანცელარიის სეკრეტარი თავადი თუმანიშვილი სამარის და ოლონბურგის გუბერნიებში (1 ივნისიდამ).

ხელმწიფე იმპერატორმა ჩემის წარდგინებით და კავკასიის კამიტეტის 1866 წლის 13 აპრილის დაწესებით, ყოველად უმოწყალესად ინება ქვემოხსენებულის პირების კაცთ-მოყვარეობითი მოღვაწეობისათვის, რომელიცა იმათ უჩვენეს, დ ჯილდოვება მედლებითა, რომელთაც ზედ აქვთ წარწერილი „კაცთა სიკეთილიდგან გამოხსნისათვის“... ეს მედლები უნდა დაიკიდონ ვლადიმირის ლენტით გულზედ და არიან ქვემო ხსენებულის ხარისხისანი: ოქროსნი: დეკანოზის კოსტანტინე ტერ-სტეფანოვის შვილს, მცხოვრებლებს ქალაქებისას: ბორისას—იაკობ ხითარაშვილს; სიღნახისას—უკალობა ამირხანოვს; ტფილისის კალონისტს—სამუილ ქურცს, სახელმწიფო გლეხებს—სოსია ბელაძეს და ბესო ბაბაშვილს და საეკკლესიო გლეხებს: ზაქარია ტერ-მიქელოვს და ივანე აკოფაშვილს; ვერცხლისანი: თელავის უეზდის რუსიპირის სოფლის სომხის მღვდელს, ტერ-მელქისედეგს ტერ-პარსიგოვს, თიანეთის სასოფლო მცველის ურიადნიკს იუნკერს თავადს ვლადიმერ ხერხეულიძეს, დუშეთის მოქალაქეს თათულა თათულაშვილს, ქალაქს სიღნაღს შერიცხულ ჯანდიერ ელიზბარაშვილს, მცხოვრებლებს ქალაქებისა: სიღნაღისას—ივანე მირაქოვს და ახალციხისას—ქარაპეტა ოლანესიანს, ახალციხის უეზდისას—დუსუნა დადა-ოღლის და სახელმწიფო გლეხებს ივანე ნაზარაშვილს, ქაცია ჯოხაძეს, იოსებ აზიზოვს და იაგორ ანდრეევს.

ხელმოწერილია: კავკასიის ნამესტნიკი ღენერალ-ფელდცეიხმეისტერი: მიხეილი.

პოლიტიკა.

იტალია.—იტალიის გაზეთში Opinion, 17 მაისიდამ, სწერენ: „გერმანიის ხალხის მყობადი ლიბერალებზედ არის დამოკიდებული. იმათი მიუცილებელი და ძველიდამვე მომდინარებული ინტერესი (სარგებლობა) იმყოფება იმაში, რომ უცხო ტომის გავლენა აღმოიფხვრას ავსტრიის იმპერიაში. დიდათ სამწუხარო კონსტიტუციური განხეთქილება პრუსსიაში ლიბერალებს ამ აზრს არ უნდა ავიწყებინებდეს. თუმცა პრუსსიის მმართებლობა მრავალ გზის არის შემცდარი, თუმცა ავსტრიამ შემთხვევისაგამო მიიღო ლიბერალური სახე, მაგრამ ლიბერალებმა მაინც უნდა ისარგებლონ იმ შემთხვევითა, რომელიც პრუსსიამ იმათ მისცა. პრუსსია არის გერმანიის მყობადის წარმომადგენელი. იმისი პოლიტიკა მიუცილებელათ პროგრესსიული (წინმავალი) უნდა იყოს, მაშინ როდესაც ღაბსბურგის სახლის (ავსტრიის სახელმწიფო სახლი) პოლიტიკა უეჭველად თავისუფლების წინააღმდეგი უნდა დარჩეს.

„ყველაზედ უფრო ნამდვილი საშუალება თავისუფლების მოსაახლოებლათ ახლა ეს არის. გერმანიას და იტალიას ერთი და იგივე საქმე აქვთ—საქმე ნაციონალობისა (ხალხობისა) და თავისუფლებისა. გერმანიამ უნდა მიჰბაძოს იტალიას, რომელიც დაუღონებლივ საეროის სახლს (იტალიის საკაროლო სახლი) მიენდო. რა დანიშნულებაც ამ სახლს იტალიაში აქვს, იგივე დანიშნულება პრუსსიას აქვს გერმანიაში.“

—იტალიის ღენერლის სიტყვა სალდათებთან. „საომრად მოწოდებულო სალდათებო! ჩვენს სამშობლო ქვეყნის მტრებს გულში განუზრახავთ, ვითომც თქვენ არ აასრულებთ თქვენს მოვალეობას, რომლისთვისაც ხართ მოწოდებულნი. მაგრამ იტალია დღეს ხედავს თქვენს სიხარულს და შეურყეველობას. იტალია ხედავს, რომ თქვენ ერთად, მტკიცედ და განუშორებლად შეერთებულხართ იტალიის დროშების ქვეშ. იტალია აღგიარებს თქვენ თავის ღვიძლ შვილებათ.

„ჩვენის სამშობლო ქვეყნის სახელით და კაროლის მმართებლობის სახელით, განგიცხადებთ თქვენ მადლობას.—სალდათებო! უცხო ქვეყნელის სიამაყე აღელვებს თქვენს გულს, აღელვებს იმ გვარად, რომ თქვენ იძულებული ხართ აიღოთ ხელში თოფ-იარაღი და განაგდოთ იგი ამ ერ უკუნისამდე ჩვენის სამშობლო ქვეყნიდგან! სალდათებო! თქვენ ცრემლსა ღვრით, როცა ოჯახებს შორდებით; მაგრამ იმათი ლოცვა-კურთხევა ფარვანასავით თავს გევლებათ ყოველს განსაცდელში. ჩვენს მამულს თქვენგან გადუწყდება ახლა თავისი ბედი. თქვენ ამპარტავნობით ეტყვით თქვენს შვილებს: ჰა, ჩაგვიბარებია თქვენთვის სამშობლო ქვეყანა თავისუფალი და დამოუკიდებელი. ახლა თქვენ უნდა განადიდოთ და აღამაღლოთ იგი. ღმერთმა მისცეს გამარჯვება იტალიას და ჩვენს კაროლს!“

—ერთს ანგლიურს გაზეთში მოხსენებულია, ვითომც საიდუმლო ტრაქტატის ძალით, რომელთაც უ. ლაროპიერი-ლე-ნურრი პრუსიას შეჰკვრია, ფრანციას ეძლევა ლუქსამბურგი და სარა-ბრუკენის მაზრა. მეორე ტრაქ-

---

თქოს ადრინდელივით ებრძოდა მტრებსა. პატარა რომ შეუხურდა ფეხები, დადგა და ღაეყუდა თავის მოკაუჭებულ გრძელს შვინდის კეტს,—თავის ერთგულს ამხანაგს. ქარგა ხანიყო ასე, თითქოს ყურს უგდებდა ბუნების ბუტბუტს.... დაჰკრა სამი საათის ნახევარი და ეს თითქოს ბუნებამ ნიშნათ მიიღო,—დაჰგრიალა ამ დროს ერთმა საშინელმა ქარიშხალმა, თოვლის ნამქერი შემოატრიალა ბურღსავით და ისე თეთრი-სპეტაკი სვეტსავით აიწია ცის სივრცეში. ამის ძალამ, ცოტა არ იყო, დაფიქრებული და მოუძლურებული ჩვენი ბედკრულაძე შეარყია, შეაბარბაცა. ის მარდათ გაეშურა მაშინვე დუქნის გრძელის ფანჯრისკენ, რომელზედაც ფიცარი იდვა და უფრო თბილათ და მყუდროთ იქნებოდა. იქ წამოწვა. თუმცა ქარიშხალი უხვად აყრიდა ზედ თოვლსა და თუმცა თითონაც კარგა ხან თავი იმაგრა, დახრჩობისა ეშინოდა ნამქერისაგან, მაგრამ დიდხანს ველარ შეიმაგრა თავი. მსცოვანებამ თავისი აიღო და ცოტა ხანს ღრმა ძილმა დაავიწყა გარეშემოება, კეტი მაღლა ააშვირა ჰაერი რომ ჩამოსულ-იყო და სული არ შეგუბებოდა, თუ ქარი თოვლს შემოაყრიდა.....

თვალები მოიფშვნიტა, იურთი როგორც შემოჰკრეს, ერთი გაიზმორა, წვერზედ ხელი ჩამოისვა, გაიბერტყა ტანისამოსი თოვლით სავსე. ძლივს წვალებით მოიშორა გრძელ-გრძელი დაკიდებული ორთქლისაგან წვერ-ულვაშზედ ყინულები. ქარი ჯერ კიდევ წუწუნებდა, მივიდა კუნჭულში, სადაც უფრო თოვლი იყო მოგროვილი,—მოიხადა ქუდი, წამოავლო ხელი თოვლს, გაადნო მუჭაში და თოვლჭყაპი პირზედ შეიშხაპუნა; რამდენჯერმე გაიმეორა ესა; მერე ამოიღო ლურჯი შექონილი, ჭუჭყიანი, ალაგ-ალაგ გახეული ხელსახოცი და შეიწმინდა პირი. უბიდგანაც ამოაძრო ნახევარი სავარცხელი ხისა, კბილებ ჩამტვრეული, და დაიწყო გათეთრებულის წვერ-ულვაშისა და თმის ვარცხნა. პირისბანასაც რომ მორჩა, დადგა აღმოსავლეთისაკენ, შეხედა ცასა, ხელები განიპყრა და რაღაც გამოუთქმელის ლმობიერებით და სასოებით აადევნა თვალი იმ ლურჯის ცის კამარას და მიმბჟუტავს ცისკარს. ბადაიწერა ერთი სამჯერ პირ-ჯვარი, მოიყარა მძიმედ სამიოდე მუხლი, გაათავა რაც ზეპირად იცოდა და როგორც იცოდა ლოცვები. მერე დაიხურა თავზედ წყნარად ქუდი და ჩამოჯდა ფანჯარის ფიცარზედ, უნდოდა დანაყრება. ბუნებაც ჩაწყნარდა, ცოტა არ იყო მოიტეხა. ამის საუზმეს შეადგენდა ნახევარზედ ცოტა მეტი ქართული თონის პური, რომელიც აქამდის წელზედ ჰქონდა შემოკრული ლურჯი ტილოთი, და, ცოტა არ იყო, შემხმარ იყო. შემოიხსნა და გულიანად, მაგრამ ძალა—დატანებით, ძლივს ღეჭავდა. როგორც იყო პურსაც მოერია, გულიანად ჩაღრღნა ცარიელი პური თავისის კბილ-ნაკლების ყბებით. დაფიქრებული ბედკრულაძე საუზმის დროს თან სიამოვნებით გასცქეროდა და ყურადღებით ადევნებდა თვალს მომავალს ჭრიალ ჭრიალით შეშის ურმებს, თითქოს მიზანში იღებდა უფრო რბილს და ნედლს შეშებს,—წითელს საგურამოს რცხილაზედ კი ფიქრობდა;-არა: ჩემი მაჯა-მკლავი მაგას ველარ შეებრძოლება. თითქმის ბევრი მეურმე არ დარჩა, რომ სალამი არ მიეცა და გამარჯვება არ ეთქვა; ასას ბლახას (იმას ისე ეძახდნენ) ყველანი იცნობდნენ; ესეც რასაკვირველია თავის მხრით ახალისებდა თავის სწორ-ამხანაგსა, ეუბნებოდა ყველას: გამარჯვება, გამარჯვება ვაჟკაცებო, ოჯახი-შვილებო, აი თქვენი ღმერთის ჭირიმე, ბიჭებო, გაისარჯენით, გაისარჯენით, თქვენი სიყრმის ჭირიმე, ღმერთმა მოგცეთ შეძლება, მხარ-კლავი საღი და გული მხიარული. ამ დროს, საიდგანაც არ იყო, გამოჩნდა ასე ადრე, ჩვეულების წინააღმდეგ, დუქნის პატრონი მოქალაქე და ერთი დილა კარგა-ყოფნისა ან გამარჯვებაც არ აღირსა ასას ბლახას, თავის სარჩოს ყარაულს,—ბლახა კი ფეხზედ წამოუდგა, თავი დაუკრა და მძიმედ მოახსენა: აღა ადღეგრძელა ღმერთმა. იმან პასუხის მაგიერად წარბი შეიკრა. ჩვენი გლახა ბედკრულაძეც ჩაჩუმდა. ამ გვარი ქცევა აღისა ცუდათა ჰქონდა დაცდილი, მეტადრე იმიტომ უფრო, რომ დღეს ახალი თვე იყო და წარსულის თვის ჯამაგირს ელოდა.—მართლაც ახდა გლახას ეჭვები ჯამაგირის საღათ აღებაზედ.

მოქალაქემ დუქნის ღებაში თვალი აავლო ჩამოაელო და ფანჯრის-წინ, ბლახას საუბედოროდ, შეგროვებული თოვლი ნახა, ასე რომ მიხვდა, აქ ვინმე წოლილაო და ფიცხად, შეტევით შეჰყვირა არამზადაძემ (მოქალაქის გვარი იყო).

—ეს ვინ დაგიწვენია წუხელი აქა?!...ძიდევ ხელ-ბრუნდობა დაიწყე?....

—უცხო არავინ, ღმერთმა ხომ იცის, მე თვითონ ვ წოლ;—ძალიან შემცივდა ფილაქანზედ წოლაში, ხალხიც ბევრი მიდიოდა მოდიოდა, ფეხ ქვეშ მთელამდნენ, ღვთის წინაშე უფროსებმა და მეტადრე თოვლის ბუქმა უფრო შემაწუხა, პირი და ყელი ამივსო, ერთი რაღაც ღვთის რისხვა ღამე იყო და შემეშინდა, რავიცი, ერთი უძლური, ჯან-გატეხილი კაცი ვარ, სული არ შემიგუბოს, მე მეტიც აღარ მინდა, და ჩემი ოჯახობის მოვალეობაში არ ჩავდგე მეთქი, ავდექი და ამ მაღალზედ შემოვწექი, ვიცოდი, არას წავახდენდი....

არამზადაძე ვერ ითმენდა, უნდოდა ბრაზი ამ საცოდავს კაცზედ გაეხეთქა, არ აცდიდა ლაპარაკს; რამდენჯერმე სიბრაზით გადააფურთხა, ბოლოს მაინც კიდევ გააწყვეტინა ბლახას სიტყვები.—ეა, რას მიჰქარავ, უთხრა არამზადაძემ, შე კვდარ-ძაღლო, არ იცი რამტელი მიზის ამ ფანჯრის შელება? შენ შენი შალის ძონძებით ხომ სულ გადაფხიკე საღებავი, ახლათ უნდა შევაღებინო? ამ დროს გადმობერტყა თოვლი და ცოტაოდენი რაღაც

ტატში, რომლითაც პარიჟში შეჰკვრია უ. ვისკონტი-ვენოსტა, იტალია შეჰპირებია ფრანციას სარდინიის კუნძულის დათმობას. ერთი ბელგიის გაზეთი ამბობს, რომ ეს ხმა დასაჯერებელი არ არისო.

ᲞᲠᲣᲡᲘᲐ. პრუსსიის აღჭურვა. ბერლინიდამ იწერებიან: როდესაც ქვეითი ჯარი ლანდვერისა (*) ბატალიონში 800 კაცამდე შეაწევს და კავალერია პოლკში—800 ცხენოსნამდე მაშინ პრუსსიის არმიასაც შეეძლება საბრძოლად გამოიყვანოს 450ათასი ქვეითი ჯარი, 40 ათასი ცხენი და ათასი ზარბაზანი, გარდა იმ სალდათებისა, რომელნიც ბარგთან და საციხო არტილლერიასთან იქნებიან დაყენებულნი. ნაპოლეონის ომების აქეთ პრუსსიაში არ მომხდარა ამისთანა აღჭურვა.

ᲓᲣᲜᲐᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲕᲑᲘ. რუმინიის გაზეთში მონიტორში 10 მაისიდამ დაწერილია შემდგომი დეკლარაცია, რომელიც გარდასცეს თავის კონსულებს და აგენტებს ბუხარესტში ელჩებმა ავსტრიისამ, ფრანციისამ, დიდ-ბრიტანიისამ, იტალიისამ, პრუსიისამ და რუსეთისამ. აი ის დეკლარაცია:

დროებითი მმართებლობა ბუხარესტისა მოიქცა წინაალმდეგ კონვენციისა, რომელიც შესდგა 1858 წელს 19 ავვისტოს და რომელიც 12 მუხლის ძალით აძლევს კრებას მთავრის აღმორჩევის უფლებას, ამისთვის რომ იმან ბძანება გასცა, რომ მთელის ხალხიდამ ხმა მოიკრიფოს უცხო ქვეყნის პრინცის აღმოსარჩევლად. კონფერენციამ თავის რეზოლუციის ძალით, რომელიც დამტკიცდა 4 აპრილს, დასდვა, რომ შემდგომ შეკრებილმა პალატამ გადასწყვიტოს, კავშირი ისევ დარჩება თუ არა სამთავროებს შორის. თუ უმეტესი ნაწილი მოლდავიის ან ვალახიის დეპუტატებისა მოითხოვს ცალკე ხმის მიცემას, იმათი წადილი უნდა აღსრულდეს. თუ უმეტესი ნაწილი მოლდავიისა ან ვალახიის დეპუტატებისა ისურვებს კავშირის დარღვევას, უსათუოდ კავშირი უნდა მოისპოს.

როდესაც ეს საქმე გადაწყდება, შემდეგ კრება უნდა შეუდგეს მთავრის აღმორჩევას და იმათგან აღმორჩეული მთავარი კი მუნებური ანუ ადგილის კაცი უნდა იყოს. კონსულები მოვალენი არიან თვალ-ყური ადევნონ, რომ ხმის მიცემაში თავისუფლება იყოს. თუ ვინიცობაა ვინმემ მოინდომა ამ თავისუფლების შევიწროება, იმათ დაუყონებლივ უნდა შეატყობინონ ეს კონფერენციას.

ხელმოწერილია: მეტერნიხი, დრუენ-დე-ლუისი, ქოული, ნიგრა, ლოლტცი, ბუდბერგი.

ᲔᲒᲕᲘᲠᲘᲢᲔ. შეცვლა წესისა მემკვიდრეობაზედ ეგვიპტეში. ამ მოკლეს დროს ქონსტანტინოპოლში მოხდა იმისთანა შემთხვევა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთისათვის. ეგვიპტის ვიცე-კაროლს სულთანისაგან ნება მიეცა გარდასცეს მემკვიდრეობით თავის შთამომავლობას ვიცე-კაროლის ღირსება. იმას შეუძლიან თავისივე სიცოცხლეში დანიშნოს მემკვიდრეთ ერთი რომელიმე თავის შვილთაგანი. ამ რიგათ იმის ძმებს მუსტაფა-ფაზილს და ხალიმ-ფაშას, რომელნიც მუსულმანის სჯულით პირდაპირნი იმის მემკვიდრენი არიან, ტახტზედ მემკვიდრეობის სიმართლე ჩამოერთმევათ. ამ ცვლილებას დიდი მნიშველობა აქვს, რადგანაც შეიძლება ოსმალოს დინასტიის წესდების შეცვლაც ამას თან მოჰყვეს, გარდა იმისა რომ თვითეს ცვლილება მუსულმანის სჯულის წინააღმდეგია. როგორც სჩანს ეგვიპტის ვიცე-კაროლს იაფად არ დასჯდომია თავის ხელმწიფის დასტური ამ საქმეზედ, რადგანაც ის გამხდარა მოვალე რომ სულთანს წლის ხარჯი 600 ათას გირვანქა სტერლინგამდის აღუსრულოს.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ,

პეტერბურგში მიღებული.

პარიჟი, 15 (27) მაისს. დღეს მონიტორში დაბეჭდილია: უცხო—ქვეყნის ჟურნალებმა გაავრცელეს ხმა, ვითომც ფრანცია, პრუსსია და იტალია შეჰკვრიან ერთმანეთს ტრაქტატით და ამ ტრაქტატის ძალით, თუ ომი მოხდა, პრუსსია დაჰპირებია ფრანციას რეინის მდინარის პროვინციების დათმობას, და იტალიაც ვითომც უპირებდეს სარდინიის კუნძულის ჩუქებას. ჩვენ უნდა გამოვაცხადოთ, რომ ამ ხმას არა საფუძველი არა აქვს რა. ფრანციის მმართებლობა არა ვითარის პირობაებით არ შეჰკვრია არც ერთს უცხოქვეყნის მმართებლობას.

ვენა, 15 (27) მაისს. დაჭეშმარიტებით გვაცნობებენ, რომ პარასკევს, 13 (25) მაისს, პორტამ გამოუცხადა დიდს სახელმწიფოებს, რომ ის დაუყონებლივ დაიჭერს ჯარებით დუნაის სამთავროებს. იქნება იმან კიდეც დაიჭირა ეს მხარე.

ბუხარესტი, 15 (27) მაისს. ბუშინ თავადი დიმიტრი ბიკა წავიდა ვენაში და წაიღო თან პრინცის ღოღენცოლერნის ქარლის წიგნი, მიწერილი ავსტრიის იმპერატორთან. რუმინიის პალატამ დაუნიშნა ქარლს წლის ჯამაგირათ 100 ათასი დუკატი, მაგრამ პრინცს სურს იმდენი ფული მოითხოვოს, რამდენიც სასახლეს ეყოფა. მთავარი ქარლი ხვალ მოლდავიაში აპირებს წასვლას.

ტფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 27 მაისს. ნეიტრალურმა დიდმა სახელმწიფოებმა ერთის ხმით გამოუცხადეს ავტრიას, რომ შემდეგ იმისგან წარმოთქმულის სიტყვებისა იტალიის შესახებ და შემდეგ წინადადებისა, რომელიც იმან მისცა გერმანიის სეიმს ელბის საღერცოგოების საქმეზედ, კონფერენცია არ მოხერხდებაო.—პრუსსიამ ბაშტეინის კონვენციის (შეკრულობის) დამმარღვეველად მიიღო წინადადება, რომელიც ავსტრიამ შეიტანა გერმანიის სეიმში, და შეიყვანა თავისი ჯარი ღოლშტეინში. ავსტრიელებმა იმაზედ პროტესტი გამოაცხადეს და უკან დაიწიეს ალტონის ქალაქისაკენ.—ოსმალეთის დიდი ვეზირი ფუად-ფაშა დაითხოვეს თანამდებობიდამ და იმის მაგიერად დაინიშნა რუშდი-ფაშა.

პეტერბურგი, 28 მაისს. ღენერალმა რომანოვსკიმ 8 მაისს დაამარცხა იჯართან 40 ათასი ბუხარის ჯარი, რომელსაც თან ჰქონდა 21 ზარბაზანი. ემირი გაიქცა ჯუზაკისაკენ 100 სარბაზით და 2 ზარბაზნით. დანარჩენი არტილლერია, ბანაკი და ბარგი რუსის ჯარის ხელში დარჩა. ბუხარელებმა დასტოვეს ადგილობრივ ათასს კაცზედ მეტი.

ვენიდამ ტელლეგრამით გვაცნობებენ: ოსმალოს ჯარი დუნაის მდინარეზედ გადვიდაო და ამ გადასვლის დროს შეტაკება მოხდაო. რუმინიის მმართებლობამ ბუხარესტიდამ ჯარი გააგზავნა ოსმალების შესაგებებლათ. ღოღენცოლერნის პრინცმა ქარლმა თვითონ მიიღო რუმინიის ჯარის თავი სარდლობა.

პეტერბუგი, 29 მაისს. ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცა და მათი უავგუსტესი შვილები: მემკვიდრე ცესარევიჩი, ვლადიმირი, ალექსი, სერგეი და პაველ ალექსანდრეს ძენი და მარიამ ალექსანდრეს ასული მობძანდნენ მოსკოვში 25 მაისს, საღამოს. ხალხმა ისინი დიდის აღტაცებით მიიღო ხელმწიფე იმპერატორმა ბძანა: „მოსკოველები დამხვდნენ მე მოსკოვურათ.“—27 მაისს, საღამოს, მათი იმპერატორებითნი დიდებულებანი და დიდნი მთავარნი ალექსი, სერგეი და პაულე ალექსანდრეს ძენი და დიდი მთავრინა მარიამ ალექსანდრეს ასული წაბძანდნენ ილინსკოეში, სადაც მშვიდობიანათ მიბძანდნენ. მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე დაბრუნდნენ პეტერბურგს.

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲦᲠᲐᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ.

IV.

მეოთხეს საუკ. ქრისტეს შობის შემდეგ ქოსტანტინე დიდმა პირველათ აღიარა ქრისტიანობა უპირატესს სარწმუნოებათ. ამ საუკ. გასულს რომის იმპერია ორათ გაიყო—დასავლეთის იმპერიათ, რომელსაც სატახტო ქალაქათ ჰქონდა თვით რომი და რომელიც დაეცა 476; მეორე იყო რომის აღმოსავლეთის იმპერია; აქ სატახტო ქალაქათ დაიდო ქოსტანტინოპოლი ანუ ბიზანტია და ამისთვის ამას ბიზანტიის იმპერიის სახელიც აქვს მითვისებული. ეს განიგრძო მეთხუთმეტის ს. ნახევრამდე.—ამ საუკ. ევროპას შემოესია მონგოლების მოდგმის ხალხი—ღუნნები. ღუნნები მოაწვნენ გერმანიელებს; მოხდა დიდი გადასახლება ხალხთა. ესენი ერთი მეორეს და სხვა შთამომავლობის ტომებს შეეჯახებოდნენ, აირევოდნენ ერთმანეთში და ხშირათ შესცვლიდნენ საზღვრებს და წეს-დებულებაებს; თვით იმათი ენები შეირევნენ და ცოტ-ცოტათ შეიცვალნენ ახალს ენებათ; აქედამ წარმოსდგნენ ფრანცუცული, იტალიური, ნემეცური, ანგლიური და სხ. ამ ბარბაროზებში ნამეტნავათ არიან ცნობილნი ვესტ-გოთები ისპანიაში, ფრანკები ბალლიაში, ოსტ-გოთები და ლომბარდები იტალიაში, საქსები ბერმანიის ჩრდილოეთით, ავარები-სამხრეთით, და იმათ შემდეგ ანგლები შეერთებით საქსებთან ბრიტანიაში. ევროპის ხალხების პირველს ადგილ-სადგომს თვით იმ-

---

გაფხაჭნილი იპოვა გალესილის ფანჯრის ფიცარზედ. ამაზედ უფრო შეხტა და შემოტრიალდა ჩვენი არამზადაძე. ეს რა ამბავია? ბანაჩემი ოჯახი შენ უნდა დააქციოს. არა, ღმერთი აიღებს, რომ ფულს გაძლევ დუქნის საყარაულოში, და შენ კი გძინავს? მერე ს დ გძინავს! ძირს ქვის ფილაქანზედაც რომ არა კადრულობ, მაღლა აბრძანებულხარ ფანჯარაში, განა ღირსი არიან შენისთანა დათვები მაგ პატივისა?! ბაიყენები, დაძრები, მოკვდები? ოჰ, ოჰ, ოჰ, რა დიდი ამბავი მოხდება! შენ თუ მოკვდი, ჯანი გაგვარდეს თუ მოჰკვდები, ათასი შენისთანა ძაღლები ყრიან, კიდეც მეხვეწებიან. შენზედ რამტელით იაფათ, შენზედ ახალგაზდები, შე ქოფაკო, შენ თუ მოკვდი, შენი თავის ხეთქამ,—ყვავები შავს ჩაიცმენ; ფულს იმიტომ გაძლევ, რომ ჩემი დუქნის წინ ზეზელა დგომით სული ამოირთო, თვალი არ მოხუკო, მუხლი არ მოიდრიკო... მაშ არა და შენ აქ არხეინათ მხარ-თეძოზედ წამოწექი, გაუჯდა ფურმიშხანს (მოქალაქის სახელია) გვერდებში, დიახ ეგრე ადვილად არ მოდის ჩემი ფულები, წადი ყურში უჩურჩულე ჩემ ცოლს აი, ის მოგიხერხდება შენა, დაიჭი, თავში იხეთქე, წაიღე.—აქამდის დუქანში დადიოდა წინ და უკან და ისე ელაპარაკებოდა კარებში მდგომარე ჯოხზედ დაბჯენილს და თავ ჩაკიდულს ასას ბლახას და ამ სიტყვებზედ კი ახლო მოვიდა და თვის ჯამაგირში ოთხი მანეთი მისცა, ერთი მანეთი კი უკან დაუჭირა; ამ ფასით ეს გადახეხილი ფანჯრის ფიცარი უნდა შევაღებინო, წაილულლულა არამზადაძემ.

—არა, შე დალოცვილო, ეს რაღა იცი, რაღა ამ ჯამაგირის მოცემის დროს იცი შარების მოგონება, დავიდარაბის ატეხა; გენანება სრულად ფულის მოცემა და იმ თვეშიაც ტყუილათ მომიგონე, საღამოზედ გვიან მოდიხარ და დილით ადრე მიდიხარო,—ამ ცილზედ ორი მანეთი დამიკელი; არა, ღმერთი აიღებს, ფურმიშხან, მაგტელ უსამართლობას და უდიაროობას, რასაც შენ მე მიშვრები? ღმერთი ხომ არის მოწამე, (ქუდი მოიხადა დ ცას შეხედა სველი თვალებით) წამოწოლილი ვარ, მაგრამ, როგორც ეშმაკს, ჩემ თვალს ისე ძილი არ მოუა, რწყილმა რომ გაიჩუჩუნოს, ან ბუზმა გაიბზუოს, მე თვალები ღია დამრჩება ხოლმე,—ჩემ დროული კაცი სულ ასეა. მაინც თუნდ ვიწვე და გინდ ფეხზედ ვიდგე, შენ რა მოგემატება, შენი დოვლათი და დუქანი კი პირნათლად ჩაგბარო და სხვა რა გინდა: აღავ, ფურმიშხან, აგრემც ღმერთი გიდღეგრძელებს ცოლშვილსა, ლუკმას ნუ მიტეხ, თითო ფული თითო დღეს უმატებს ჩემ ცოლშვილსა, და შენ კი არაფრად გიღირს, რომ არ მერგებოდეს, არც შემერგება და ღმერთი, რჯული, ნამუსი დამწვავდა, ვერა გთხოვდ.—პატარახან თავ ჩაკიდული, ქუდ-მოხდილი იდგა კარებთან, მერე აიღო თავი და გულ-ამოჯდარმა, ყმაწვილივით, დაუწყო სლოკინით ისევ ხვეწნა და მუდარება: ორიოდ ფუთი ფქვილის ყიდვა მინდოდა დღესა, თავათ პური ძვირია; ცოლშვილი, ღმერთო ხომ შენა ხარ გულთა-მხილავი, (ზეცას შეხედა და თეთრ წვერზედ ჩამოგორდა ორიოდ ობოლი მარგალიტივით ცრემლი) შიმშილით მეხოცებიან, სესხით ავიმსენით, გლახაობით თავი მოვაწყინეთ მთელს უბანს. ცემა-ტყეპით და ლანძღვით ისტუმრებენ ჩემ ცოლშვილს მეზობლები, როდესაც იმათ კარზედ მივლენ ჩვენები საციქვლის სათხოვნელად.... ფურმიშხან, ღმერთს გეფიცები, ფანჯრის ფიცარზედ ეს ცოტა გაფხაჭნილი ასე იყო დიდი ხანია, შენი შაგირდების ბრალია; მე ისე როგორ ღმერთი გაბიწყრებოდა, რომ ამითი მეთამაშნა, ყმაწვილი ხომ არა ვარ, ამის გული სადღა მაქვს,—როგორ არ ვიცი, ამ დროულმა კაცმა, რა დასაკლისია და რა შესამატისი.—ან არა და ამისი გალესა ბევრი, ბევრი ერთი აბაზი, შენ კი მანეთს მართმევ; ცოდო ვ რ, ფურმიშხან, მამე, მე ჩემი ხარჯით გავაკეთებ, მოვიყვან ოსტატს და, ჯანი გავარდეს, რაც დაჯდება, დაჯდეს, მივცემ....

—არამზადაძემ, რომელიც ბლახას ლაპარაკის დროს დუქანში დაფუსფუსებდა და რაღასაც ალაგებდა, არმინდასავით ფულის ძლევა დაუწყო, მაგრამ ბედკრულაძემ იფიქრა: ან სად მოვნახო, და ან ვინ არის მღებავიო, თავის დღეში ამ გვარი საქმე არავისთან მქონია, სად ვეხეტო მთელი დღე საძებნელად და იქნება ჩემისთანა დავრდომილი და აძონძილი კაცი მასხარათაც ამიგდონ, არც გამომყვნენ და ან ბევრი ფული მთხოვონ; ფურმიშხანსაც ხომ რასაკვირველია უფრო გადავიმტერებ და მაშინ აქაც აღარ მებოგინება, შიმშილით სულები ამოგვძვრება. ამ მოსაზრების შემდეგ ორს ჭირში უსუსტესი არჩია; წუწუნით, თავის ქნევით და ამოხვრით უთხრა ბედკრულაძემ არამზადაძეს:

ეჰ, ჯანი წაუვიდეს, ისევ შენვე გააკეთებინე, მე მაგის თავი არა მაქვს, არც არა ვიცი რა მაგისი.

წამოაველო ხელი თავის ერთ გულს ცულს და გადავიდა წელ-მოწყვეტილი, დამბლა-დაცემულსავით ფეხებს ძლივს მიათრევდა, თან დუდუნებდა: ეგეც შენ და ჩემი ცოლშვილის ცოდოცა, შე ღვთის პირისაგან შეჩვენებულო და წყეულო! მართლა რომ ამ დროს ამ ბედისაგან დაჩაგრულის კაცის სიტყვები რაღაც ღვთის რისხვასა ჰგვანდნენ და ფურმიშხანის სახეში ქვეყანასა ჰგმობდა. მაგრამ ჯერ სად არის ბედის წყევა... ეს არც პირველია ჩვენი საცოდავი ბლახა ბედკრულაძის სიცოცხლეში და არც უკანასკნელი. უოველ-დღიური ცხოვრება ბედკრულაძეებისა სულ ეს არის, რაც დღეს, ის ხვალ, ის ზეგ, მაზეგ... და საფლავამდის უფრო უარესი და უარესი.... ღმერთო, როდის იქნება, რომ ამ გვარათ სისხლით პურის ჭამას ბოლო-მოეღოს!.....

(შემდეგი იქნება.)

ათი ენები უჩვენებს საშუალო აზიაში, საიდამაც ისინი აქ მოვიდნენ სხვა და სხვა დაშორებულს დროებში, ზოგნი კასპიის ზღვის ჩრდილოეთით, ზოგნი კავკასიის მხრით, ზოგნი მცირე აზიით. მეცხრე საუკუნეში იმათ დაეფუძნეს სამეფოები ანუ საკაროლოები: ფრანკებისა, გერმანიისა, იტალიისა, პროვანსისა, და სხ. მეათეს საუკუნეში გამოჩნდნენ შვეცია, ნორვეგია, დანია და სხ.—იმათ ყველამ მიიღეს ქრისტიანობა. მაგრამ დიდ-ხანს დაჰყვეს უწესოებაში. ისინი შეუწყვეტლათ ებრძოდნენ ერთი მეორეს. ისინი დაუფძნენ რომის ცივილიზაციის ნატამალზედ და რადგანაც თვითონ დაბალს ხარისხზედ იდგნენ, ამისთვისაც იმისს გავლენაში უნდა ჩაცვივნილიყვნენ: კარგი იყო თუ ავი რომის ცივილიზაცია, იმათ არ შეეძლოთ იმისი განსჯა; და ერთის სიტყვით, ისინი დაემორჩილნენ იმას და იმაზედ დიდის ხნობით გაჩერდნენ. ეს იყო მიზეზი, რომ მთელს იმათს ყოფა-ცხოვრებაში გამოიხატება როგორც მაშინ, აგრეთვე დიდ-ხანს შემდეგში, ბევრი რომაელების ნაკლულევანება.

დამორჩილებულს ტომებს ეს ბარბაროზები თითქმის რომაელებსავით ეპყრობოდნენ. ისინი ჩამოართმევდნენ საკუთარს იმათს დედამიწას და თვით იმათ იმონაევებდნენ. ამათ შეადგინეს უმაღლესი კლასსი, რომელსაც ეწოდა ფეოდალები. ქაროლი ანუ მეფე ფეოდალებში იყო მხოლოთ პირველი პირი და ამისთვის იმას განსაკუთრებითი ძალა არ ჰქონდა. ვინც ფეოდალებში მომატებულათ შემძლენი იყვნენ, იმათ თავიანთს სამფლობელოთაგან შეადგინეს სახელმწიფოში მცირე სახელმწიფოები, რომელნიც აქა-იქ იყვნენ დაბნეულნი და კავშირი არა ჰქონდათ რა ერთმანეთში და საზოგადო სამეფოსთან. მომატებულს ევროპის ფეოდალებს საზოგადო სჯულის ნება-რთვით ჰქონდათ უფლება, რომ საკუთარი მანეთები ჰქონიყოთ და აგრეთვე ნება ჰქონდათ ერთი-ერთმანეთში ბრძოლისა, ამისთვისაც ბრძოლა იყო იმათში ხშირი. თვითოეულს ჰყვანდა თავისი ქვეშე-ვრდომები ანუ ვასსალები და ამათ გარდა დანაშთენნი იყვნენ უცხო-ტომებთაგან დამონაევებულნი, რომელნიც შეადგენდნენ იმათს ყმებს და იყვნენ იმათს მიწებთან შეკავშირებულნი. ფეოდალს ჰყვანდა ვასსალები მუდამ შეიარაღებული; იმათ მიუსევდა მტრებს. ფეოდალები სცხოვრებდნენ ციხეებში, რომელნიც იყვნენ ძნელათ მისასვლელს მთებზედ, საიდამაც მშვიდობიანობის დროს დაესხმოდნენ შარა-გზაზედ მოგზაურებს და ეაჭრებს. ისინივე გაარჩევდნენ და დასჯიდნენ თავიანთის ქვეშე-ვრდომების ბრალეულებასა. იმათი სისხლის-კანონი იყო დაწესებული შანთზედ, ფიცზედ, ერთი-მეორესთან ბრძოლაზედ და ადუღებულს წყალზედ, როგორც უწინ საქართველოში. მეთერთმეტის საუკუნის გასულს დაიდვა საფუძველი რაინდებისა (chevalier, рыцарь), რომელნიც ეკუთვნოდნენ კეთილშობილს კლასს ანუ ფეოდალებს და დიდის ცერემონიით აიყვანებოდნენ თავიანთს ხარისხში; მხოლოთ იმათ ჰქონდათ უფლება ცხენის ხმარებისა ომში და ამისთვის იმათით შესდგა ცხენოსანი წყობა ანუ კავალერია. ტანისამოსით და სხვა ნიშნებით ისინი ირჩეოდნენ დანაშთენს კეთილშობილებში. იმათი მოვალეობა იყო დევნულება უსამართლოებისა, მფარველობა ქვრივთა და ობოლთა, დამორჩილება იმ კეთილშობილის ქალისა, რომელსაც თვითოეული იმათგანი ამოირჩევდა თავისს მიჯნურათ ანუ სატრფოთ. იმათ დააწესეს სამხედრო და სარელიგიო წყობა ანუ ორდენები, რომელთაც დიდი სარგებლობა მიაგეს შემდეგ ქრისტიანებს პალესტინაში, როდესაც უკანასკნელნი თურქებს ებძოდენ. მაშინდელი სამღვდელობა იყო დამყარებული ფეოდალურს წესზედ. უმაღლესი სასულიერო ადგილები ხშირათ ეპყრათ უფრო დიდ-კაცებს, რომელნიც ამ თანამდებობას გადასცემდნენ თავიანთს გვარში საშვილი-შვილოთ. ასე იყო ხან და ხან თვით საქართველოშიაც. იმათ ჰყვანდათ საკუთარი ყმები. ისინი იყვნენ მდიდარნი, როგორც საერო დიდებულნი და, როგორც უკანასკნელნი, ატარებდნენ თავისს ცხოვრებას განცხრომაში და გარყვნილებაში. თვითოეულს იმათგანს ჰყვანდა საკუთარი წყობა, და მოხდებოდა, რომ იმას თვითვე ბძანებლობდა ბრძოლაში. ისინივე ახდევიანებდნენ ყოველს ბრალეულობას თავიანთს ყმებს.—მხოლოთ ეს ორი კლასსი—საერო და სამღვდელო ფეოდალები—იყვნენ თავისუფალნი ხარჯისა და ბეგარისაგან საერთო სახელმწიფოს სასარგებლოთ. ეს ტვირთვი ედვა უკანასკნელს კლასს, ესე იგი ხალხს.. დაბალი წოდება ფეოდალებს ჰყვანდა შეურაცხებაში და შეჭირვებაში. ის იყო შემდგარი, როგორც ვთქვით, უფრო დამონაევებულთ ტომებთაგან და ამისთვის, იმათის აზრით, დაბალის მოდგმისა იყო.

ამ დროს უმეცრება იყო თითქმის საზოგადო. ამის დასამტკიცებლათ საკმაო იქნება ორი ფაქტი. აი ერთი ფაქტი. პირველისავე საუკუნიდამ ევროპიელნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქვეყნის არსებობას დიდი დღე არ ჰქონდა. იმათის აზრით, შესრულდებოდა თუ არა ათასი წელიწადი ქრისტეს შობიდამ, მთელს ცას-ქვეშეთს ბოლო უნდა მოჰღებიყო, ცეცხლით იყო თუ წარღვნით. ბაიარა ათასმა წელიწადმა, გაიარა ათას-ხუთასმა; ქვეყანა არ შერყეულა; მაგრამ შიში მაინც ვერ შემცირდა: საზოგადო დანთქვას ელოდნენ ყოველ-დღე, ყოველ-წლივ. შიში იყო გავრცელებული თითქმის ყველგან, მეცნიერებში და უმეცრებში, დიდ-კაცობაში და დაბალს ხალხში. მეფენი, დიდებულნი და მდიდარნი, რომელთაც ამ დროებში მრავალი შესაწირავი შეჰქონდათ მონასტრებში და ეკლესიებში, ასე იწყებდნენ თავისს ოქმებს: „appropinquante mundi termino“—„appropinquante magno judicii die“.—„რადგანაც მოახლოვდა ქვეყნის დასასრული—„რადგანაც მოახლოვდა დიდი დღე სასჯელისა.“—აი მეორე ფაქტიც. მთელს ევროპას სჯეროდა, რომ ყოველს საზოგადოებაში არსებობდნენ გრძნეულნი ანუ ჯადოსნები და კუდიანი დედაკაცები. მაშინდელი სჯული იმათ სასტიკს სასჯელს მიაყენებდა. როდესაც ეჭვს მიიტანდნენ იმათზედ, იმათ ან სწვავდნენ ცეცხლით ან ახრჩობდნენ. აქ უნდა შეენიშნოთ, რომ უკანასკნელი გრძნეული დასწვეს ანგლიაში 1712 წ., ისპანიაში—1781 წ. ეს ჩვენშიაც იყო და საუბედუროთ იმისი კვალი ახლაც არის. ასეთი იყო იმ დროს საზოგადო უმეცრება. ან საიდამ რა უნდა სცოდნიყოთ? ქითხვისა და წერის ცოდნა უმაღლესს კლასს ღირსათ არ მიაჩნდა. ამ საქმეს მისდევდა უფრო დაბალი სამღვდელო წესი და ნამეტნავათ ბერები. შკოლები იყო იშვიათი, ისიც მონასტრებში, სადაც პირველი ღირსება მდგომარეობდა წიგნების გადაწერაში; ბეჭდვა ჯერ შემოღებული არ იყო. ყოველს შრომას შეურაცხებით უყურებდნენ. შრომობდა მხოლოთ უბრალო და ღარიბი ხალხი, რომლის მონაგებითაც იკვებებოდნენ და მდიდრდებოდნენ ფეოდალები. ვაჭრობა იყო ამ გვარსავე მდგომარეობაში: აღებ-მიცემობდნენ უფრო ებრაელნი და ამათ უმაღლესი კლასსი არ აძლევდა მოცალებას შეძინებისას, რადგანაც ეს მძლავრნი წამ და უწუმ ჰყვლეფდნენ იმათ, ან ცხადათ შარა-გზაზედ, ან სახლში მისევით.

იმ დროებას, რომელსაც ჩვენ გამოვხატავთ, განსაკუთრებითი სახელ-წოდება აქვს. ეს სახელია საშუალო საუკუნოები, რომელნიც გაჰყოფენ ძველსა და ახალს დროს. აქ რა საკვირველია, საზღვრების ჩვენება ძნელია. მაგრამ ისტორიაში პირველს საზღვრათ არის დადებული რომის დასაველეთის იმპერიის დაცემა 576 წელს, უკანასკნელს საზღვრათ კი—ქოსტანტინოპოლის აღება ოსმალებისაგან 1853 წ. ანუ ამერიკის პოვნა 1492 წ. ეს დრო არის დრო დიდის ბარბაროზობისა; ამ დროს განმაველობაში ძველის სახელმწიფოების დანაშთენით დაიდება საფუძველი ახალის სახელმწიფოებისა; ამავე დროს მომატებულათ გაძრიელებულია ფეოდალიზმი.

ზემოთ მოვიხსენეთ, რომ ქრისტიანობა ევროპის ხალხთ მიიღეს ადრე. მაღალს აზრს ამ სარწმუნოებისას ისინი ვერ მიჰხვდნენ. ქრისტეს სწავლისთვის სიყვარულზედ მოყვასისადმი იმათ ჯერ არ ჰქონდათ გონება გახსნილი და ეს იყო მიზეზი, რომ ისინი მხოლოთ გარეგანს წესს დაადგნენ. ძველის დროდგანვე იმათი უპირატესი მოქმედება იყო სარწმუნოებაში დოგმატიკური ბაასი. ამ ბაასმა დაბადა ეკლესიაში მწვალებლობა ანუ სექტები. მეათეს საუკუნეში მოხდა განყოფილება დასავლეთის და აღმოსავლეთის ეკლესიისა. შემდეგ ამისა პირველს ეწოდა საკათოლიკო, მეორეს აღმოსავლეთის აღსარება. მეთექვსმეტეს საუკუნეში კათოლიკის საშოში მოხდა რეფორმა; აღმოჩნდა პროტესტანტის აღსარება და უკანასკნელი გაიყო აგრეთვე რამდენსამე სექტებათ. სხვა და სხვა აღსარებაში ასტყდა მტრობა და ბრძოლა სარელიგიო საგნების გამო, რომელიც ასუსტებდა და აოხრებდა ევროპის ქვეყნებს. ამ მდგომარეობამ დიდ-ხანს გასწია. სხვა და სხვა აღსარების ხალხი ერთმანეთს უყურებდნენ, როგორც მტერი მტერსა, და იმათის აზრით, თუ ერთი მეორეს ძმობრივს სიყვარულს მიაგებდა, ის არ იყო ღირსი ქრისტიანის სახელისა და ცხოვნებისა: კათოლიკები ამოსწყვეტდნენ პროტესტანტებს, პროტესტანტები კათოლიკებს. უნამეტნავესათ შეუბრალებელნი იყვნენ კათოლიკნი: ისინი აღრჩობდნენ და სხვა გვარის ტანჯვით სტანჯავდნენ; ყოველს აზრს, რომელიც იმათს აზრს არ ეთანხმებოდა, სდევნიდნენ. არც ერთი გენიოსი, არც ერთი კაცობრიობის სასარგებლო საქმე არ გადაურჩა იმათ. აქ უნდა უჩვენოთ ინკვიზიცია; ის დაარსდა მეცამეტეს საუკუნეში და გავრცელდა ევროპაში. ის იყო სასულიერო წყობა, რომელმაც იკისრა მოვალეობა კათოლიკობის ძალით გავრცელებისა. ინკვიზინცია შეუბრალებლათ ამოსწყვეტდა ჯერ ებრაელებს და მაჰმადიანთ და შემდეგ იმათ, ვისი სარწმუნოება და თვით აზრი იმას მიაჩნდა საკათოლიკო აღსარების წინააღმდეგათ: ცეცხლით დაწვა ადამიანისა, ჯურღმულში ჩაგდება, სადაც ის ცოცხლივ ლპებოდა, და სხვა გვარი გონებისაგან მოუფიქრებელი ტანჯვა ინკვიზიციისათვის იყო უბრალო საქმე. ძალა ჰქონდა იმას გასაოცარი. ძნელი წარმოსადგენია, რა ძალი ხალხი დალუპა იმან რამდენსამე საუკუნის მომდინარეობაში. მთელი ევროპა იყო ძრწოლაში და ვაებაში. მოვიგონოთ იეზუიტები, რომელნიც შემდეგ, მეთექვსმეტეს საუკუნეში, დაწესდნენ ისევ საკათოლიკო ქვეყნებში და თითქმის აქამომდე იდუმალ მოქმედებენ. სარგებლობაც კი უჩვენეს იმათ ევროპას: იმათ ხელში იყო სწავლა, რომელსაც საკმაოთ ავრცელებდნენ ევროპაში და გარეშე ადგილებში; მაგრამ უპირველესს საგნათ იმათ ჰქონდათ ისევ ის აზრი, რომელიც ჰქონდა ინკვიზიციას. ისინი ამ აზრის გულისთვის არ ზოგავდნენ არა რა ღონისძიებას: ერევოდნენ ყოველს გვარს საქმეებში და ასტეხდნენ წინააღმდეგობას, შფოთს, ბრძოლას ოჯახებში და სახელმწიფოებში.

აქ არ შეიძლება არ მოვიხსენოთ ერთი ხალხი, რომლის გავლენაც დიდი სასარგებლო იყო ევროპისთვის. ამ ხალხს შეადგენდნენ არაბები: ისინი სცხოვრებდნენ აწინდელს არაბისტანში; მეშვიდეს საუკუნემდე იყვნენ კერპთაყვანისმცემელნი და იდგნენ დაბალს ხარისხზედ. ამ დროს იმათში გამოჩნდა მაჰმადი, რომელმაც შეადგინა თავისი სჯული; სჯულის საფუძველი [illegible] სხვა და სხვა აღსარება—წარმართებისა, ებრაელებისა და ქრისტიანებისა. ეს ახალი სარწმუნოება იყო დამყარებული ერთ-ღვთაების თაყვანისცემაზედ და მაჰმადის წინასწარ-მეტყველებაზედ. არაბები ავრცელებდნენ მახვილით როგორც მაჰმადის აღსარებას, აგრეთვე თავიანთს საზღვრებს. იმათ დაიპყრეს მრავალი ნაწილი ქვეყნისა და აღადგინეს საკუთარი სამთავროები; მერვეს საუკუნეში ერთი ნაწილი იმათი დასახლდა ისპანიაში. აქ იმათ დასდეს საფუძველი ცივილიზაციისა, რომელიც დროს განმაველობაში ევროპის ცივილიზაციაზედ უმაღლესათ აღმოჩნდა. არაბებმა შეითვისეს ძველი ბერძნების მეცნიერება და იმათს უკეთესს თხზულებაებს სთარგმნიდნენ თავიანთს ენაზედ. მიმართულება იმათი იყო ისეთი, როგორათაც თვით ცხოვრება მოითხოვდა. შკოლები ააშენეს მრავალი; უმაღლესი სასწავლებლები იმათ ბევრით ადრე დააფუძნეს, ვინამც ევროპის ხალხთ; იმათ ჰქონდათ უკეთესი ბიბლიოთეკები; იმათ მოიგონეს ალგებრა, შემოიღეს ციფრები, რომლებსაც ახლა მთელი ქვეყანა ხმარობს; იმათში აღყვავდა პოეზია, ფილოსოფია, მათემატიკა, ბუნებითი საგნები, ექიმობა. სარწმუნოებაში დევნულება არაბებმა ადრევე უარ-ჰყვეს. იმათს სასწავლებლებში ერთათ სწავლობდნენ მსოფლიო საგნებს ქრისტიანები, ებრაელნი და მაჰმადიანნი. ყოველივე, რაც კი სასარგებლო იყო ადამიანის ყოფა—ცხოვრებაში—მიწის შემუშავება, არხების გაყვანა, აღებ-მიცემობა, ხელოსნობა, ყოველ-გვარი შრომა, ამას სამაგალითო მდგომარეობაში ვპოულობთ იმ დროს ზხოლოთ არაბების სამთავროებში და ნამეტნავათ ისპანიაში. (შემდეგი იქნება.)

საკავკაზიო განცხადებანი.

(Закавказскій Вѣстникъ, 1866 г. № 21.)

1) ოკრუგის საინჟინერო სამმართველო მოიწვევს მსურველებს, რომ იჯარით აიღონ ალექსანდროპოლის და ახალქალაქის ციხეში ქვემო-ხსენებული სამუშავო, გარდა იმ ფასისა, რომელიც სახელმწიფო კაცებს მიეცემათ: 1) უნდა დაიფინოს ფიცრის იატაკი (პოლი) პრავიანტის მაგაზინის 11 ბასტიონთან ერთს სატუსალოში, საცა ახლა აწყვია გამზადებული პატრონები 335 მანეთისა და 26 კაპ.; 2) უნდა გაიმართოს მე-№ 7 რეტირადის ადგილთან ხუთი საწამლე ყუთი ძველების მაგიერად, 200 მანეთისა და 83 კაპ.; 3) უნდა გადაკეთდეს ფიცრის იატაკი (პოლი) მეორე საფიცრო ფლიგელის ორს ოთახში 127 მანეთად და 80 კაპ.; 4) უნდა გადაკეთდეს ხის იატაკი სამოსამსახურო სახლის თავლაში, № 51, 139 მანეთად, 63 კაპ.; 5) უნდა აშენდეს ერთ ატაჟიანი სამზვარეულო, საფიცრო № 20 ფლიგელის მახლობლივ ახალქალაქის ციხეში, 244 მანეთად, 63 კაპ., და 6) უნდა გაუკეთდეს რკინის სახურავი და მეხ-გადასაცდენი (громо—отводъ) ერთს ციხეს, № 14 ახალქალაქის სიმაგრეში, საცა შენახულია სხვა და სხვა არტილლერიის იარაღი, 293 მანეთისა $73\frac{1}{2}$ კაპ. სულ სამუშავოა 13,181 მან. და $88\frac{1}{4}$ კაპ.

ტორგი მოხდება ტფილისში ოკრუგის საინჟინერო სამმართველოში 7 ივნისს და პერეტორჟკა—10-ს ამავე თვეს. დაბეჭდილის განცხადებაების გამოგზავნაც შეიძლება.

2) ოკრუგის საინჟინერო სამმართველო მოიწვევს მსურველებს, რომ აიღონ იჯარით შემდეგი სამუშავო ქ. ტფილისში: 1) უნდა გამოიცვალოს ძველი ფიცრის ყავრული, უვარგისი ჩალანდრები და—მოეცალოს მოაჯირი; უნდა გაუკეთდეს ჭერის ძელები და გაეკრას ჭერს ლამფა მის იმპერატორებითი დიდებულების დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის 1 კავკასიის საპერის უფროსის ბატალიონის კაზარმას, 2082 მან. $83\frac{1}{2}$ კაპ.; 2) უნდა გაკეთდეს დაფარული გამოსაზიდი ორმო ფეხის-ადგილებთან ფიცრის მილით, 802 მან. 72 კაპ.; 3) სრულებით უნდა გადაკეთდეს 52 საყარაულო (будка), რომელიც უჭირავთ ტფილისის გარნიზონის ყარაულებს, 347 მანეთად, $42\frac{3}{4}$ კაპ.; 4) უნდა აშენდეს თოფის-წამლის შესანახი სარდაფი 100 ფუთის წამლისთვის, ორი საყანთარო და თავლური (სარაია), 2833 მანეთად $4\frac{1}{4}$ კაპ., და 4) უნდა გადაკეთდეს საინჟინერო ბაღში მებაღეების სადგომი სახლი,—აშენდეს ღობე და წამოფარებული ფიცრული ანუ საჩეხი და ამის გარდა სრულებით გადასწორდეს არხი და გაიმართოს ორანჟერეია 1260 მანეთად, 10 კაპ. სულ ერთიანად გადადებულია ფული 7,326 მან. და 12 კაპ.

ტორგი მოხდება ტფილისში ოკრუგის საინჟინერო სამმართველოში 6 ივნისს და პერეტორჟკა—9-ს ამავე თვეს. დაბეჭდილის განცხადებაების გამოგზავნა და მოცემა შეიძლება.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го іюня 1866 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.